პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 236 (9077)
10 დეკემბერი,
სამშაბათი,
1985 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ახალი ბიუჯეტი წინსვლის გარანტიაა

ახლოვდება მეთერთმეტე ხუთწლედის ფინიში. დგება გაწეული მუშაობის შეჯამების, ახალი ხუთწლედის გეგმების შემუშავების პერიოდი. მთელი რესპუბლიკა შრომითი ენთუზიაზმით ეგებება სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებს. ამ დღეებში თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია, რომელმაც ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საქართველოს მშრომელები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რათა წარმატებით დაამთავრონ XI ხუთწლედი და ასევე წარმატებით აიღონ ახალი ხუთწლედის სტარტი.

უმაღლესი საბჭოს სესია მუდამ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია და ეს გასაგებიც არის: სხვადასხვა უმნიშვნელოვანეს საკითხთან ერთად დეპუტატები უმაღლეს ორგანოში იხილავენ ხალხის შემდგომი კეთილდღეობის ზრდის ამოცანებს. სესიის მასალებში ბევრი შთამბეჭდავი, მრავლისმეტყველი ციფრია. გადავხედოთ თუნდაც საქართველოს სსრ 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტსა და საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას. მომავალ წელს მოსახლეობის უფასო სამედიცინო მომსახურებას 317,7 მილიონი მანეთი მოხმარდება. ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის გათვალისწინებულია 4,8 მილიონი მანეთი. გარდა ამისა, შიდასამეურნეო სახსრების დიდი ნაწილი მოხმარდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის გარეშე დღეს წარმოუდგენელია სახალხო მეურნეობის ესა თუ ის დარგი. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში იგეგმება სახსრები, ვთქვათ, ჯანმრთელობის, განათლების, კულტურის, მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ მატერიალური სახსრების დიდი ნაწილი ხალხის, მშრომელთა კეთილდღეობას ხმარდება. ეს სახსრები ხმარდება ფიზკულტურასა და სპორტსაც, რომელიც პარტიის სოციალური პროგრამის განხორციელების კვალობაზე სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ყოფაში.

ჩვენ ხელთაა გ. ჟვანიას წიგნი „საქართველოს ხინამდვილე და ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები“. ეხება რა სახელმწიფო ბიუჯეტს საქართველოში 20-იან წლებამდე, ავტორი წერს: „სახელმწიფო ბიუჯეტი ატარებდა აშკარა მილიტარისტულ ხასიათს, ბიუჯეტის დაახლოებით 37 პროცენტი სამხედრო ხარჯებზე მოდიოდა. მხოლოდ 5,5 პროცენტი ხმარდებოდა სახალხო განათლებას. სოციალური საჭიროებებისათვის კი იხარჯებოდა ბიუჯეტის მხოლოდ 0,1 პროცენტი. ეს ციფრები აშკარად მეტყველებენ ბიუჯეტის ანტიხალხურ ხასიათზე“.

ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურა და სპორტი განუხრელად ვითარდება, ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ხასიათს იძენს. პარტიის წინასაყრილობო დოკუმენტებში ერთხელ კიდევ თვალნათლივ აისახა ის უდიდესი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა, რასაც მოსახლეობის ფართო ფენების ფიზკულტურასა და სპორტთან დამეგობრება მოიტანს. ჩვენს რესპუბლიკაში ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობა ფართოდ ჩადგეს ადამიანების კეთილდღეობის სამსახურში. საქართველოს 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ამის ნათელი დასტურია.

◆

სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

განვიხილავთ წინასაყრილობო პარტიულ დოკუმენტებს

წინადადებები, შენიშვნები, მოსაზრებები

სავალდებულოდ რომ იქცეს

საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის“ უკვე მეორე წელია შეტანილია ჩვენი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო გეგმაში. ეს კომპლექსი საბჭოთა ადამიანების ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის განმტკიცების, ავადმყოფობის შემთხვევათა შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის, აქტიური სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებისა და სამშობლოს დაცვისათვის ახალგაზრდობის მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. ამიტომ უკვე დროა, რომ მისი ნორმატივების ჩაბარება სავალდებულოდ დაწესდეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტში ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებაზე, ჩემი აზრით, ჯობს ასე შეიცვალოს: **„გადავაქციოთ ფიზკულტურა და სპორტი საერთო სახალხო საქმედ, გავაფართოოთ ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა მზდ კომპლექსის საფუძველზე, რომელიც სავალდებულოდ უნდა იქცეს მშრომელთა და მოსწავლეთათვის ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით“.** შემდეგ — როგორც ტექსტშია.

აკაკი დოკვაძე,

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურული მოძრაობის მართვის ორგანიზაციისა და ფ/კ და სპორტის ისტორიის კათედრის გამგე, დოცენტი.

საბჭოთა კავშირის ქალთა ჩემპიონატი ჭადრაკში

ნინო გურიელის „ბრინჯაო“

ერევანში დამთავრდა საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა 45-ე ჩემპიონატი. წინა ნომერში გაუწყეთ, რომ შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ქვეყნის ჩემპიონის სახელი მეხუთედ მოიპოვა ნონა გაფრინდაშვილმა. ბოლო დღეს გაირკვა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების ბედიც. XVII ტურში ლიტინსკაიამ მოუგო საუნინას, გურიელი ყაიმზე შეუთანხმდა პიარნპუუს, გაფრინდაშვილი — ბაგინსკაიტეს.

ამრიგად, ნონა გაფრინდაშვილმა 12,5 ქულით დაასრულა ჩემპიონატი. ვერცხლის მედალი ლვოველ მარტა ლიტინსკაიას ხვდა — 11,5 ქულა, ბრინჯაოსი — ნინო გურიელს — 11. აღსანიშნავია, რომ ნინო ერთადერთი მონაწილეა, რომელსაც არც ერთი პარტია არ წაუგია.

ახლა გთავაზობთ ბოლო ტურის დანარჩენ პარტიათა შედეგებს: სახატოვა—სტეპოვაია 0,5:0,5, სემიონოვა — სოფიევა 1:0, ფათალიბეკოვა — ზაიცევა 0,5:0,5, შაფრანსკა — ახშარუმოვა 1:0, რუჩიევა — ხოროვეცი 0,5:0,5. გადაიდო მატვეევა-მუჩნიკის შეხვედრა.

გუშინ გადადებულ პარტიაში მატვეევამ დაამარცხა მუჩნიკი და ისევე, როგორც გურიელმა 11 ქულა მოაგროვა. ორივე სპორტსმენს ბრინჯაოს მედალი გადაეცა.

თვალსაჩინო წარმატება

ტრენჩისკე-ტეპლიცეში დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის ღია პირველობა ჭადრაკში. როგორც ამ რამდენიმე დღის წინ გაუწყეთ, 10 ტურის შემდეგ 7 ქულით წინ იყო თბილისელი საერთაშორისო ოსტატი ელიზბარ უბილავა. ელიზბარმა ბოლო ტურებშიც კარგად ითამაშა და საბოლოოდ, 14 შესაძლებლიდან 10 ქულით პირველობა მოიპოვა. ამასთან, უბილავამ საერთაშორისო დიდოსტატის პირველი ბალიც შეასრულა, რაც უდავოდ დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს

ჩემპიონატში II და III ადგილები დაიკავეს ჩეხოსლოვაკიელმა დიდოსტატებმა ფტაჩნიკმა და მოკრიმ. ქუქა პოლგარმა (იგი დამარცხდა უბილავასთან) IV-V ადგილები გაიყო.



ბიჭები იმ ასაკისა არიან, ზღაპრების სამყაროს ხინამდვილედ რომ აღიქვამენ. ვინ იცის, ოცნებაში რამდენ დევთან და ჯადოქართან ხელჩართული ბრძოლაც გაუმართავთ. ისინი ხომ მარტო ჩვეულებრივი ბავშვები კი არა, „მუშკეტერებიც“ არიან — მომავალი დარტანიანები.

თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ფარიკაობის სკოლა (დირექტორი ტრიფონ მესხი) 400-მდე ნორჩ სპორტსმენს ზრდის.

ქართული ფარიკაობის სკოლას დიდი და სახელოვანი ტრადიციები აქვს. არ დარჩენილა უმაღლესი ტიტული, ჩვენს მოფარიკავეებს არ მოეპოვებინოთ. ნუგზარ ასათიანისა და გურამ კოსტავას მიერ გავლილი სახელოვანი გზა ღირსეულად გააგრძელა ვლადიმერ აფციაურმა.

ბალავერი

იქნებ ამ ბიჭებშიც არიან ჩვენი სახელოვანი მოფარიკავეების მემკვიდრეები?

სურათებზე: მუშკეტერებმაც მკლავის ძალა მოსინჯეს; მსაჯობს გია პუმბაძე; სწორი დგომი ერთ-ერთი მთავარია მოფარიკავესთვის; მწვრთნელი კარლო ქუთათელაძე; სწავლა ცქერითაც შეიძლება.

ჯემალ კასრაძის ტექსტი და ფოტოები.

„ლელოს" საკორესპონდენტო პუნქტი კუს ტბის სამშენებლო უბნებზე

მუშაობა მთელი ფრონტით გაიშალა

- ტემპი არ უნდა შენელდეს
- ტერასების ნაგებობათა გადახურვა ისევ ჭიანურდება
- თბოტრასა წინ მიიწევს
- ოცი კვადრატული მეტრი რვაასის ნაცვლად
- როდის ჩართავენ განათებას?

ამ ერთი კვირის წინ, როცა კუს ტბის სამშენებლო უბნებიდან პირველ რეპორტაჟს ვამზადებდით, ალბათ ვერავინ ირწმუნებდა, რომ უდიდესი მოცულობის სამუშაოთა ერთ თვეში დამთავრება შესაძლებელი იყო. ინერტულობა, რომელიც მაშინ შეიმჩნეოდა, ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლეოდა, მაგრამ „ინჟმშენის" ხელმძღვანელობის (მმართველი იური კირკიტაძე) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გაზეთის გამოსვლას სრული გულისყურით მოეკიდნენ და უკვე მეორე დღიდან მუშაობა მთელი ფრონტით გაიშალა. გუშინ, ისევე როგორც წინა დღეებში, კუს ტბაზე ტექნიკის გუგუნი გაისმოდა. ერთბაშად სამი ექსკავატორი შეჭიდებია ძნელ საქმეს. სწრაფი ტემპით გაჰყავთ თბოტრასა საქვაბემდე. პარალელურად ხდება თბოტრასის მილების შედუღება, რაზეც „ინჟმშენის" მე-2 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ოთარ ლეჟავა) სპეციალური ბრიგადა მუშაობს. ცალკე ბრიგადები მუშაობენ ტერასულ ნაგებობათა კეთილმოწყობაზე, ოღონდ, შიგა სამუშაოები სრულდება, სახურავი კი, რომელზედაც წინა რეპორტაჟში გავამახვილეთ ყურადღება, ისევ დაუმთავრებელი რჩება. ჭერჭერობით ვერსად მიუკვლევიათ გუდრონისთვის. „ინჟმშენმა" ამ საკითხს ახლა უპირველესი ყურადღება უნდა დაუთმოს. თორემ, ვიმეორებთ, აქამდე გაკეთებული საქმე შეიძლება წყალში გადაყრილი აღმოჩნდეს.

„ინჟმშენის" მე-4 სამმართველომ (უფროსი ამირან მელაშვილი) ობიექტზე უკვე მიიტანა 200 კვ. მეტრი მეტლახის ფილები — მთლიანი რაოდენობა, რაც პროექტითაა გათვალისწინებული. ამავე სამმართველომ უკვე ცოკოლის ბლოკებით შეკრა ტერასების კუთხეები. დღემდე ისევ გადაუჭრელი რჩება 800 კვ. მეტრი მოზაიკის საკითხი. 20 კვ. მეტრი, რაც ამ დღეებში მიიტანეს ობიექტზე, საქმეს არ შველის. აქაც „ინჟმშენის" ხელმძღვანელობას ეკუთვნის საბოლოო სიტყვა. გასულ პარასკევს კუს ტბაზე კვლავ შეიკრიბნენ მშენებლობის ხელმძღვანელები და კვლავ გაამახვილეს ყურადღება გადასაჭრელ პრობლემებზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მხარდაჭერით ყველა ღონეს იხმარენ, რათა დარჩენილი სამუშაოები დათქმულ ვადებში შესრულდეს.

ერთი სიტყვით, თითქმის ყველა სამუშაო უბანზე გამოცოცხლებაა. ხალისი არც ტბის შემოგარენში განელებულა — მიუხედავად იმისა, რომ მთელი ტერიტორია სამშენებლო პოლიგონადაა ქცეული, გაჯანსაღების მსურველებს მეცადინეობა არ შეუწყვეტიათ. აქ დილაადრიან კვლავ უამრავი ხალხი იყრის თავს. რამდენიმემ ჩვენს საკორესპონდენტო პუნქტსაც მოაკითხა და თავისი გულისტკივილი გაგვიზიარა. საქმე ის არის, რომ ტბის ტერიტორია და შემოგარენი ადრე ყოველთვის განათებული იყო. ახლა კი განათების სისტემა გამორთულია. პირველი მოვარჯიშეები კი 6-7 საათზე ადიან ტბაზე. ამ დროს ახლა ბნელა. ასეთ პირობებში, ცხადია, არა მარტო ძნელდება, სახიფათოც კია ვარჯიში.

რატომ არ არის განათება? მშენებლებმა გვიპასუხეს, რომ ბოლო ხანებში საჰაერო ელექტროხაზები, როგორც რეკონსტრუქციით იყო გათვალისწინებული, მიწისქვეშა კაბელგაყვანილობით შეიცვალა. ეს მისასალმებელია, მაგრამ განათებაც ხომ დროულად უნდა ჩაერთოთ. ვფიქრობთ, ამ საკითხთან დაკავშირებით რედაქციასაც და მომეცადინეებსაც დასაბუთებულ პასუხს გასცემენ შესაბამისი სამსახურები.

ჯანმრთელობა უწინარეს ყოვლისა

აერობიკა ყველასათვის სასარგებლოა

რამდენიმე წლის წინათ ცნობილმა ამერიკელმა ექიმმა კენეტ კუპერმა მასობრივი გამოყენებისათვის დაამუშავა გამაჯანსაღებელ ვარჯიშთა სისტემა, რომელსაც აერობიკა დაარქვა („აერ" — ჰაერი, „ბიო" — ცხოვრება). ყველა ადამიანს სჭირდება აერობული ვარჯიშები, ე. ი. ვარჯიშები რომლებიც აუმჯობესებს ჟანგბადის ათვისების უნარს. თვით კუპერის განსაზღვრით, აერობიკა არის სისტემა სხვადასხვა ვარჯიშებისა, რომელთაც აქვთ ერთი საერთო თვისება: აიძულებენ ადამიანს ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმართოს ძალისხმევას. ეს ვარჯიშები ხელს უწყობს ჟანგბადის დიდი რაოდენობით შთანთქვას. ამ პროცესში მთავარ როლს თამაშობს სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის სისტემები, ნივთიერებათა ცვლა. ისეთ ფიზიკურ ვარჯიშებს, როგორიცაა სიარული, სირბილი, ცურვა ან თხილამურებზე სიარული, მათი აერობული ხასიათის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კუპერის სისტემა ხელსაყრელია იმით, რომ იგი ადამიანის გულსისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობისა და მისი გაწვრთნილობის ხარისხის განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

შედარებით მოკლე პერიოდში აერობიკამ ბევრ ქვეყანაში პოპულარობა მოიპოვა. ამაზე მეტყველებს კ. კუპერის წიგნის — „ახალი აერობიკა" — მრავალმილიონიანი ტირაჟი. იგი მრავალ ქვეყანაში გამოიცა, მათ შორის ჩვენთანაც. წიგნის წინასიტყვაობაში კუპერი წერს: „ფიზიკური ვარჯიშებისადმი ექიმებისა და ხალხის დიდი ინტერესი აიხსნება იმით, რომ აერობიკა წარმოადგენს ეფექტურ გამაჯანსაღებელ საშუალებას... ვიმედოვნებთ, რომ თითოეული ჩემი მკითხველი, რომელიც ივარჯიშებს სწორად და ისარგებლებს ჩემს მიერ შეთავაზებული შესაბამისი ცხრილებითა და რჩევა-დარიგებებით, არ გახდება გულსისხლძარღვთა დაავადებების მსხვერპლი".

დავუშვათ, თქვენ 35 წლის ხართ, სრულიად ჯანმრთელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გამონახეთ დრო და სტადიონის სტანდარტულ სარბენ ბილიკზე (ერთი წრე 400 მ) ირბინეთ შეუჩერებლივ 12 წუთის განმავლობაში. თუმცა აუცილებელი არ არის მაინცა და მაინც სტადიონზე გახვიდეთ. მთავარია იცოდეთ რა მანძილი დაფარეთ (ან გაიარეთ) 12 წუთში.

თუ ამ დროის განმავლობაში გაირბინეთ 1500 მ-ზე ნაკლები მანძილი, ექიმ კუპერის სისტემის მიხედვით თქვენ იმსახურებთ შეფასებას „ძალიან ცუდი"; თუ 1500-დან 1800-მდე, შეფასებას — „ცუდი". თუ შეძელით 1800-დან 2200 მ-დე მანძილის დაფარვა, გეკუთვნით „დამაკმაყოფილებელი". თუ 2200-დან 2600 მ-მდე მანძილი 12 წუთში დაფარეთ, მიიღებთ „კარგ" ნიშანს, მაგრამ თუ თქვენ ამ დროში გაირბენთ 2650 მეტრსა და მეტს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩინებულ ფორმაში ხართ. თუმცა „ფრიადი" ან „კარგი" შეფასების მიღება არც ისე ადვილია. მოგვყავს კუპერის დაკვირვების შედეგები: „12 წუთიანი ტესტით" შემოწმებული იქნა ამერიკის საჰაერო ძალების 18-დან 20 წლამდე ასაკის 1370 თანამშრომელი. მათგან მხოლოდ 52,8%-მა შეძლო მიეღო შეფასება „კარგი", 6,3%-მა კი შეფასება „ფრიადი".

ვარჯიშის მთავარი მიზანია ჯანმრთელობის გაუმჯობესება და შენარჩუნება. პირველ რიგში, ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა შემოწმდეს საგულდაგულოდ, კუპერი ხაზს უსვამს, რომ ეს ყველასთვის სავალდებულოა. მაგრამ თუ თქვენ აერობიკას ექიმის კონსულტაციის გარეშე მიმართავთ, საფრთხეში ჩააგდებთ არა მარტო თქვენს ჯანმრთელობას, არამედ სიცოცხლესაც.

კუპერი წერს: „თუ თქვენ ჯერ კიდევ არ შეგსრულებიათ 30 წელი, შეგიძლიათ დაიწყოთ აერობული ვარჯიშები, იმ შემთხვევაში, თუ გავლილი გაქვთ სამედიცინო შემოწმება უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში და რაიმე გადახრა არ აღმოგჩენიათ.

30-დან 39-მდე: სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროთ ვარჯიშის დაწყებამდე 3 თვით ადრე. ანალიზებს თან უნდა ერთვოდეს მოსვენებულ მდგომარეობაში გადაღებული ელექტროკარდიოგრამა.

40-დან 59 წლამდე: ასეთივე სამედიცინო შემოწმება, იმ განსხვავებით, რომ ელექტროკარდიოგრამა აუცილებელია გაკეთდეს ფიზიკური დატვირთვის დროსაც.

59 წლის ზევით: საჭიროა დამატებით ჩატარდეს საექიმო შემოწმება უშუალოდ ვარჯიშის დაწყების წინ".

თუ შემოწმების შედეგად თქვენ აღმოგაჩნდათ გულსისხლძარღვთა დაავადება, იმის მიხედვით თუ რამდენად ხანდაზმულია დაავადება, ექიმმა შეიძლება გირჩიოთ ივარჯიშოთ მხოლოდ მისი მეთვალყურეობის ქვეშ. გამოჯანმრთელების შემდეგ (ამას ექიმი დაადგენს), შეგიძლიათ ივარჯიშოთ დამოუკიდებლად. ექიმმა შეიძლება სირბილის უფლება არც მოგცეთ, მაგრამ გირჩევთ სიარულზე გადახვიდეთ. ნუ დაღონდებით. თუ თქვენ იმეცადინებთ კუპერის ცხრილით, სიარულით შეიძლება მიაღწიოთ ისეთ შედეგს, რასაც სირბილით აღწევენ.

როგორც ექიმი კუპერი ამბობს: „ვარჯიში — ეს წამალია, რომელიც უნარჩუნებს და უხანგრძლივებს სიცოცხლეს ადამიანებს, მაგრამ, ისევე როგორც ყველა წამალი, იგი უნდა მივიღოთ რეცეპტით".

დასასრულს მოგვყავს ექვსკვირიანი სიარულის პროგრამა ვარჯიშის დაწყების მსურველთათვის 40-46 წლის ასაკში:

კვირა	მანძილი (კმ)	დრო (წთ. წმ.)	კვირაში რაოდენობა
I	1,6	18,00	5
II	1,6	16,00	5
III	2,4	24,00	5
IV	2,4	22,30	5
V	3,2	31,00	5
VI	3,2	30,00	5

ამ პროგრამის დამთავრების შემდეგ შეიძლება შესრულდეს „12 წუთიანი ტესტი" და მისი საშუალებით განისაზღვროს თქვენი მომზადებულობის დონე.

იური ზონაძე,
საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

„12 წუთიანი ტესტი" მამაკაცებისათვის (კმ-ში)

ასაკი (წლოვანება)

მომზადებულობის ხარისხის შეფასება	30-მდე	30-39	40-49	50-ზე მეტი
1. ძალიან ცუდი	1,6 ნაკლ.	1,5 ნაკლ.	1,3 ნაკლ.	1,2 ნაკლ.
2. ცუდი	1,6-1,9	1,5-1,84	1,3-1,6	1,2-1,5
3. დამაკმაყოფ.	2,0-2,4	1,84-2,24	1,7-2,1	1,6-1,9
4. კარგი	2,5-2,7	2,25-2,64	2,2-2,4	2,0-2,4
5. ფრიადი	2,8 და მეტი	2,65 და მეტი	2,5 და მეტი	2,5 და მეტი

„12 წუთიანი ტესტი" ქალებისათვის (კმ-ში)

ასაკი (წლოვანება)

მომზადებულობის ხარისხის შეფასება	30-მდე	30-39	40-49	50-ზე მეტი
1. ძალიან ცუდი	1,5 ნაკლ.	1,3 ნაკლ.	1,2 ნაკლ.	1,0 ნაკლ.
2. ცუდი	1,50-1,84	1,3-1,6	1,2-1,4	1,0-1,3
3. დამაკმაყოფ.	1,85-2,15	1,7-1,9	1,5-1,84	1,4-1,6
4. კარგი	2,16-2,64	2,0-2,4	1,85-2,3	1,7-2,15
5. ფრიადი	2,65 და მეტი	2,5 და მეტი	2,4 და მეტი	2,2 და მეტი

მიმდინარეობს გამაჯანსაღებელი ჯგუფების ატესტაცია

ახმეტა

რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ჰილიტაშვილმა გვაცნობა, რომ რაიონში მუშაობს რამდენიმე გამაჯანსაღებელი ჯგუფი. სოფელ მატაანში მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ხელშეწყობით ორ გამაჯანსაღებელ ჯგუფში 24-35 წლის 20-20 კოლმეურნეა გაერთიანებული. ერთ ჯგუფს საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ზაქარია ზალიშვილი უდგას სათავეში, მეორეს — სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი გიორგი ოტიაშვილი. მეცადინეობა ტარდება კვირაში სამჯერ მეურნეობის ფეხბურთის მინდორზე, უამინდობის შემთხვევაში მომეცადინეებს საშუალო სკოლა თავის სპორტულ დარბაზს უთმობს.

ახმეტის სტადიონზე მხოლოდ დაზამთრებამდე მუშაობს საერთო ფიზიკური მომზადების 15-კაციანი ჯგუფი (ხელმძღვანელი თამაზ ხიჩილაშვილი). მეცადინეობები ჯგუფებში საზოგადოებრივ საწყისებზე ტარდება.

ახმეტის რაიონის სპორტის მესვეურებს ვთხოვთ, მეტი ყურადღება დაუთმონ სამეცადინო პირობების გაუმჯობესებას, ყველა ღონე იხმარონ, რომ სტადიონზე მომეცადინეთა ჯგუფმა ზამთარში ვარჯიში არ შეწყვიტოს. აუცილებელია ჯგუფების გადაყვანა ფასიან მომსახურებაზე, რაც სადირექტივო მითითებებით ნებადართულია. თუ ეს საკითხები მოგვარდა, ეჭვი არ არის, ბევრი მიჰბაძავს კარგ მაგალითს და რაიონში გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მომეცადინეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება.

მოკლედ

სოხუმი

გაიმართა ქალაქის პირველობა ჭადრაკში ვეტერანთა შორის. ჩემპიონის სახელი მოიპოვა სოხუმის მე-11 საშუალო სკოლის დირექტორმა, ოსტატობის კანდიდატმა ლეონტი ქუხილავამ, რომელმაც 15 შესაძლებლიდან 11,5 ქულა დააგროვა.

აკაკი ეკადუა,
ოსტატობის კანდიდატი.

მაღლესი ლიგის საგზურებისთვის

ოსკოვის „ოლიმპიურის“ სპორ კომპლექსის დახურულ დარბაზში დეკემბერს შედგა ფეხბურთში მაღლესი ლიგის საგზურებისთვის ბრძოლი გუნდების ორი მატჩი. პირველად ერთმანეთს შეხვდნენ ლიგის ლიდერები — ცსკა და ვის „დაუგავა“. პირველ წარმა ბას არმიელებმა მიაღწიეს (ნი ლაენკო), სულ მცირე ხანში რი ლებმა ანგარიში გაათანაბრეს (მე რე მიშკინის შეცდომა კარგად მოიყენა მილევსკიმ), ტაიმის და სრულს კი ნიკოლაენკომ თამაშის წესი დაარღვია თავის საჯარიმო მოედანზე და პოპკოვმა ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი. „დაუგავა“ დაწინაურდა — 2:1. შესვენების მერე მოსკოველებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მათ მხოლოდ ანგარიშის გათანაბრება შეძლეს (შტრომბერგერი) — 2:2.

შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ ოდესის „ჩერნომორეცი“ და ბაქოს „ნეფთჩი“. იცოდნენ რა პირველი ლიგის გუნდების მატჩის შედეგი, უმაღლესი ლიგის წარმომადგენლებს ბრძოლა არ გაუმწვავებიათ, ჯერ ბაქოელები დაწინაურდნენ (სადიხოვი), შესვენების შემდეგ კი კოვაჩმა საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1.

გადასასვლელი ტურნირის მორიგი მატჩი 11 დეკემბერს გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან „დაუგავა“ — „ჩერნომორეცი“. გათამაშების ცხრილი სადღეისოდ ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომორეცი“	4	2	2	0	4-2	6
„ნეფთჩი“	4	1	3	0	5-2	5
„დაუგავა“	4	1	1	2	3-6	3
ცსკა	4	0	2	2	4-6	2

საპასუხო მატჩების წინ

11 **დეკემბერს** გაიმართება უე ა-ს თასის საპასუხო მერვედფი ლური მატჩები, საბჭოთა ფეხბუ ელები სტუმრად ითამაშებენ. მო ვის „სპარტაკი“ საფრანგეთის ქ ნანტში შეხვდება ამავე სა ლწოდების ადგილობრივ გუნდს, ლო დნეპროპეტროვსკის „დნე რო“ — სპლიტში „ჰაიდუკს“. რველი შეხვედრები ჩვენმა გუნ ებმა, როგორც ცნობილია, წაა ს ერთნაირი ანგარიშით 0:1.

საფრანგეთის ეროვნული ჩემ ონატის მორიგ ტურში განვლილ ბათს „ნანტმა“ ანგარიშით 1:0 ამარცხა „მეტცი“ და მეორე გილზე დამკვიდრდა, ხოლო „ჰა დუკმა“ იუგოსლავიის პირველო ბზე ქ. ვინკონცში წააგო „დი მოსთან“ — 1:3. „ჰაიდუკი“ ამ მად მე-6 ადგილზეა.

ბეკენბაუერი ასახელებს კანდიდატებს

გფრ-ის ნაკრების მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერმა დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატისათვის მოემზადებიან: ესენი არიან: მეკარეები — შუმახერი, შტაინი, იმელი. დაცვა — აუგენტალერი, ბერთოლდი, ბრემე, ბუხვალდი, ქ-ჰ. ფიოსტერი, ფრონცეკი, ჰერგეტი, იაკობსი. შუა ხაზის მოთამაშენი — ალგიოვერი, თ. ალოფსი, ფალკენმაიერი, მაგატი, მათეუსი, რანი, როლფი, თონი. თავდასხმა —კ. ალოფსი, გრიუნდელი, კიოგლი, ლიტბარსკი. მილი, ფიოლერი, ვაასი.

ამ 26 ფეხბურთელს დაემატებიან იტალიაში მოთამაშე კ-ჰ. რუმენიგე და ბრიგელი. რაც შეეხება „ბარსელონის“ ნახევარმცველ შუსტერს, მსოფლიოს ჩემპიონატში მისი მონაწილეობის საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.

საკონტინენტთაშორისო თასი — „იუვენტუსს“

8 **დეკემბერს** ტოკიოში შედგა კონტინენტთაშორისო თასის მა ი ფეხბურთში. ერთმანეთს შე დნენ ევროპისა და სამხრეთ ამე იკის უძლიერესი საკლუბო გუნ ბი — იტალიის „იუვენტუსი“ და გენტინის „არგენტინოს ხუნი სი“.

მატჩის ძირითადი დრო ფრედ მთავრდა — 2:2. პირველი ბუ ი 55-ე წუთზე გაიტანა არგე ნელმა ადოლფომ. 8 წუთის შე გ „არგენტინოს ხუნიორსის“ ში დაინიშნა 11-მეტრიანი, იგი სტად დაარტყა პლატინიმ — 1:1. ნალურ სასტვენამდე 15 წუთით ე არგენტინელები კვლავ და ურდნენ კასტროს ზუსტი და ყმის შემდეგ, 82-ე წუთზე კი ვენტუსის“ თავდამსხმელმა, და ელმა ლაუდრუპმა ხელმეორედ დგინა თანაფარდობა — 2:2. დამატებით 30 წუთში ბურთის გატანა ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო, დაინიშნა დამატებითი 11-მეტრიანები, აქ უფრო ზუსტნი „იუვენტუსის“ ფეხბურთელები იყვნენ — 4:2.

„იუვენტუსის“ შემადგენლობა: ტაკონი, ფავერო, კაბრინი, ბრიო, შირეა (პიოლი), ბონინი, მაურო (ბრიაჩი), მანფრედონია, პლატინი, სერენა, ლაუდრუპი.

აღსანიშნავია, რომ საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება ხდება 1960 წლიდან, 25 მატჩში ევროპის კლუბებს სულ ცხრაჯერ ხვდათ წილად წარმატება. 1977 წლიდან მოყოლებული საკონტინენტთაშორისო თასი უცვლელად მიემგზავრებოდა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში (არგენტინა, პარაგვაი, ურუგვაი, ბრაზილია).

„მილანური სამკუთხედი“ და სხვა...

თბილისელ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს ფეხბურთში ველოდი მიმინოშვილს არაერთი საერთაშორისო ოფიციალური მატჩი უმსაჯია, მან წლეულსაც ჩაატარა რამდენიმე შეხვედრა, მათ შორის შვეციის „მალმიოსა“ და უნგრეთის „ვიდეოტონის“ საკლუბო გუნდების, აგრეთვე, იტალიის „ინტერნაციონალესა“ და ავსტრიის „ლინცერ აშკ“-ის მატჩები. ბუნებრივია, ამ „ტურნეს“ შემდეგ მსაჯს შეეძლო ბევრი რამ საინტერესო მოეთხრო ჩვენი მკითხველებისთვის. სწორედ ამიტომ, მართალია, მცირე დაგვიანებით, მაგრამ მაინც შევხვდით მას და ვთხოვეთ გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებები.

⊙ ალბათ უმჯობესი იქნება, არ დავარღვიოთ თქვენს მიერ ჩატარებულ შეხვედრათა კალენდარული თანამიმდევრობა. თუ შეიძლება საუბარი „მალმიოსა“ და „ვიდეოტონის“ შეხვედრით დავიწყოთ.

—ეს იყო უეფა-ს თასის ოცდამეთორმეტედფინალური ეტაპის მეორე ტურის მატჩი, ორი კვირით ადრე სეკეშფეჰერვარში „ვიდეოტონმა“ გაიმარჯვა (1:0). როცა საპასუხო მატჩშიც ამ გუნდმა გახსნა ანგარიში, ვიფიქრე, მასპინძლებს აღარაფერი უშველით-მეთქი. მაგრამ მეორე ტაიმში შვედებმა დიდი უპირატესობა მოიპოვეს და ზედიზედ სამი გოლიც გაიტანეს. მატჩის ბოლო წუთებზე, უნგრელთა ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევის დროს, მასპინძელთა მცველმა ხელით ითამაშა საკუთარ საჯარიმოში და მე, ცხადია, პენალტი დავნიშნე. უნგრელებმა შეძლეს მეტოქის კარის აღება და, მიუხედავად დამარცხებისა (2:3), ორი შეხვედრის ჯამში მოწინააღმდეგის მინდორზე გატანილი ბურთების მეშვეობით შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.

⊙ გულშემატკივრებისთვის საინტერესო იქნება, უფრო დაწვრილებით თუ შეჩერდებით ამ ეპიზოდზე.

— როგორც უკვე მოგახსენეთ, მეორე ტაიმში უპირატესობას შვედები ფლობდნენ. მატჩის მიწურულს, როდესაც მასპინძლები განაგრძობდნენ სტუმართა კარის შტურმს და თითქმის მთელი გუნდი მეტოქის საჯარიმოსთან იყო, ბურთს უნგრელთა მეკარე დაეუფლა და მძლავრად დაარტყა „მალმიოს“ საჯარიმოსკენ. მასპინძელთა მცველისა და სტუმართა თავდამსხმელის თავისებური სპრინტერული „დუელი“ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დამთავრდა, მაგრამ ვიდრე იგი დასარტყმელად ემზადებოდა, მცველმა მოასწრო და ბურთი ხელით მიუგორა თავის მეკარეს. რა თქმა უნდა, წესების დარღვევა აშკარა იყო.

⊙ გეთანხმებით, მაგრამ, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც ტელეეკრანზე ვნახეთ, შვედები ამ აზრს არ იზიარებდნენ.

— ამ შეხვედრის გვერდითი მსაჯები უნდა ყოფილიყვნენ როსტოველი ივან ტიმოშენკო და მოსკოველი იური სავჩენკო. მაგრამ სავჩენკომ ვერ მოახერხა შვეციაში გამომგზავრება და ბოლო მომენტში მის მაგივრად მალმიოში თავისი ავტომანქანით ჩამოვიდა დანიელი მსაჯი სიმეონსონი. იგი მინდვრის სწორედ იმ ნახევარს უწევდა კონტროლს, სადაც 11-მეტრიანი დაინიშნა. მასპინძლებს ალბათ იმედი ჰქონდათ, რომ სიმეონსონში „მეზობლური სოლიდარობის“ გრძნობას გაალვიძებდნენ, როცა ჩემთან ამაო კამათის შემდეგ მას შემოეხვივნენ, მაგრამ დანიელმა მსაჯმაც უყოყმანოდ აღნიშნა პენალტი. საფინალო სასტვენის შემდეგ გულშემატკივართა ჯერი დადგა... გამოგიტყდებით, გზა გასახდელებისკენ მიმავალ გვირაბამდე უსასრულოდ მომეჩვენა. მატჩის შემდეგ უეფა-ს სათადარიგო არბიტრმა ფრედრიკსონმა, რომელმაც შარშან თბილისში მოსკოვის „სპარტაკისა“ და დასავლეთ გერმანიის „კიოლნის“ მატჩში იმსაჯა, ბოდიში მომიხადა „მალმიოს“ ფეხბურთელთა და გულშემატკივართა უტაქტო საქციელისთვის. მას შემდეგ კი, როცა საღამოს, ევროპის ტურნირებისადმი მიძღვნილ სატელევიზიო პროგრამაში ვნახეთ იმ ეპიზოდის ვიდეოჩანაწერი და კომენტატორმაც აღნიშნა წესების დარღვევა ეჭვს არ იწვევდაო, ჩემთან სხვა ოფიციალური პირებიც მოვიდნენ ხელის ჩამოსართმევად.

⊙ როგორც ჩანს, შვეციიდან არც ისე სასიამოვნო მოგონებები გამოგყოლიათ. რას გვეტყვით აპენინის ნახევარკუნძულზე მოგზაურობის შესახებ?

— იტალიაში მოსკოველებთან კირილ დორონინთან და ალექსეი სპირინთან ერთად გავემგზავრე. ჩვენ უნდა გვემსაჯა მილანის „ინტერნაციონალესა“ და ავსტრიის „ლინცერ აშკ-ის საპასუხო მერვედფინალურ შეხვედრაში. მასპინძლები გულთბილად შეგვხვდნენ და ეს სითბო, ყურადღება, იტალიაში სტუმრობის ბოლო წუთებამდე არ მოგვკლებია.

⊙ თვით თამაშმა როგორ ჩაიარა?

— მილანის ჯუზეპე მეაცას სახელობის ცნობილი სტადიონის მინდორზე საინტერესო, საკმაოდ თანაბარი ბრძოლა გაიმართა. ავსტრიელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და იტალიელთა ოთხბურთიანი უპირატესობა მხოლოდ „ინტერნაციონალეს“ ვარსკვლავების საუცხოო თამაშმა განაპირობა. შეუდარებელი იყო ბრეიდი-რუმენიგე-ალტობელის „სამკუთხედი“, რომლის წინააღმდეგაც „ლინცერის“ დაცვამ ვერაფერი გააწყო.

„ინტერი“ ახლა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე 1977 წელს, თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრისას იყო. ვფიქრობ, იგი უეფა-ს თასის მიმდინარე ტურნირში გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იქნება.

⊙ საინტერესოა, როგორ იხსენებენ მილანში თავიანთი კლუბის შეხვედრებს თბილისის „დინამოსთან“?

— იტალიაში ახსოვთ თბილისის „დინამო“ და მისი საუკეთესო მოთამაშეები. მილანში შევხვდი წარსულში სახელგანთქმულ ფეხბურთელებს ჯაჩინტო ფაკეტისა და მარიო კორსოს (იმ დროს იგი ჯერ კიდევ არ იყო კლუბის მწვრთნელი — ზ. ფ.). ჩემთვის მეტად სასიამოვნო იყო, რომ მათ თბილად მოიხსენიეს ქართველი ფეხბურთელები, ფაკეტი კარგა ხანს მესაუბრა დავით ყიფიანზე და მთხოვა პირადად მისგან მოკითხვა გადამეცა ჩვენი შესანიშნავი ფეხბურთელისთვის.

⊙ ფეხბურთზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ახლა თუ ისე, სადღაც წერტილი უნდა დაისვას. დასასრულს ხომ არ გნებავთ რაიმე დაამატოთ უკვე ნათქვამს?

— რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი რამ შემიძლია გავიხსენო — როგორც ფეხბურთთან დაკავშირებული, ისე „არასაფეხბურთოც“. მაგალითად, მილანის სახელგანთქმულ „ლა სკალას“ საოპერო თეატრში ერთ-ერთი წარმოდგენის რეპეტიციას დავესწარით. ეს დაუვიწყარი სანახაობა იყო! იტალიელებმა საჩუქარი გამომატანეს ლეგენდარული საბჭოთა მეკარის ლევ იაშინისთვის და მთხოვეს პირადად გადამეცა მისთვის. სიამოვნებით შევასრულე ეს მისია, მილანში ყოფნისას დავათვალიერე „ინტერნაციონალეს“ მუზეუმი, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა დროს მოპოვებული პრიზები, ფოტოები და სხვა მრავალი. ამ ექსპონატების მოგროვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კლუბის გულშემატკივრებმა, მილანელმა ფეხბურთის მოყვარულებმა. ვფიქრობ, ამგვარი ენთუზიაზმი ყველა გუნდის თაყვანისმცემელთათვის მისაბაძია.

ესაუბრა
ზურაბ ფოცხვერია.

მაღლესი სასწავლებლების პირველობაზე

მდინარეობს საქართველოს უმ ლესი სასწავლებლების ტრადი ული პირველობა ფეხბურთში. შე რებაში მონაწილეობს 12 გუნ ისინი ორ-ორჯერ ხვდებიან თმანეთს შინ და სტუმრად, 2 ტჩის ჯამში გამარჯვებული განა ძობს პირველობისთვის ბრძო ს.

გორის პედაგოგიური ინსტიტუტი და საქართველოს ზოოტექნიკურ ვეტერინარო სასწავლო-საკვლ გუნდების პირველი შეხვედრა რში დამთავრდა ფრედ — 4:4, საპასუხო მატჩი კი ზოოვეტინსტი ტის ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 2:1.

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტ სა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფეხბურთელთა პირველი შეხვედრა ბათუმელებმა შინ მოიგეს ანგარიშით 4:1, საპასუხო მატჩში კი გაიმარჯვეს თბილისელებმა — 1:0.

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდების შეხვედრები. პირველი მატჩი პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა მოიგო ანგარიშით 3:2, ხოლო მეორე ფრედ დამთავრდა — 1:1. ზოოვეტინსტიტუტის, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები განაგრძობენ ბრძოლას მეორე წრეში.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი სასწავლებლების გუნდების ამ შეხვედრებში ყველაფერი წესრიგზე არ იყო. კერძოდ, მეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა გორის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის მოთამაშეთა არასპორტულმა ჩაცმულობამ, გახუნებულმა ფორმამ, გარდა ამისა, უდისციპლინოდ იქცეოდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელები ლაცაბიძე, სვიმონიშვილი, მებუკე, ამას კი სათანადო ყურადღება არ მიაქციეს მსაჯებმა ვ. ეჯიბიამ (თბილისი) და ვ. შელიამ (გაგრა). სტუდენტ ფეხბურთელთა რესპუბლიკური შეჯიბრება უფრო ორგანიზებულად და წესრიგიანად უნდა მიმდინარეობდეს.

ოთხთა ტურნირი

იმ ქვეყნების ნაკრები გუნდები, რომლებმაც უკვე მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზურები, მექსიკის სტარტებისთვის საგანგებო პროგრამით ემზადებიან. დარჩენილ ხუთთვენახევარში ისინი საწვრთნელ შეკრებებთან ერთად ამხანაგურ საერთაშორისო მატჩებს ჩაატარებენ, ტურნეებს გამართავენ სხვადასხვა ქვეყანაში. მაგრამ ამხანაგური შეხვედრების დაგეგმვისას ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელები, როგორც წესი, ცდილობენ ისეთი მეტოქეები შეარჩიონ, რომლებსაც შესარჩევ ტურნირში ხელი მოეცარათ. გამონაკლისია გუშინწინ მსოფლიო პირველობის მასპინძელ ქვეყანაში — მექსიკაში დაწყებული შეჯიბრება. თამაშობს ჩემპიონატის ოთხი ფინალისტი: მექსიკა, ალჟირი, უნგრეთი და სამხრეთ კორეა. „ოთხთა ტურნირის“ მატჩები ჩატარდება ექვს სტადიონზე, რომლებიც სექტემბერში მომხდარ მიწისძვრას არ დაუზარალებია.

პირველ მატჩში მექსიკელებმა დაამარცხეს ალჟირელები — 2:0.

წყალბურთელთა საკავშირო ტურნირი I ლიგის საგზურის მოსაპოვებლად

მატჩის ბედი პირველ პერიოდში გადაწყდა



თბილისელი არმიელებისა და უჟგოროდის „ავანგარდის“ წყალბურთელთა შეხვედრის ბედი, როგორც მატჩის შემდეგ გაირკვა, პრაქტიკულად პირველ პერიოდში (1:3) გადაწყდა. მომდევნო პერიოდი მასპინძლებმა, მართალია, მოიგეს (3:2), დანარჩენი კი ფრედ (3:3, 3:3) დაამთავრეს, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ მშრალი ციფრებია და ოდნავადაც ვერ გვიხატავს ბრძოლის მსვლელობის სურათს.

თბილისელებმა შეხვედრა ძალზე უფერულად დაიწყეს, ზედიზედ სამი ბურთი გაუშვეს და პირველ პერიოდში მხოლოდ ერთი გაიტანეს. თანაფარდობა მათ მხოლოდ მესამე პერიოდში აღადგინეს, მერე ორჯერ მინიმალური სხვაობითაც დაწინაურდნენ. აქ არმიელებმა „ავანგარდის“ მოთამაშეებს კიდევ ერთხელ მისცეს სამი ბურთით დაწინაურების საშუალება. როგორც ჩანს, ორჯერ დანაკარგის ანაზღაურებამ დიდი ენერგია მოითხოვა და საბოლოოდ მასპინძლები დამარცხებას ამიტომ ვერ გადაურჩნენ. ისღა მოახერხეს, შეხვედრის მიწურულს ანგარიში მინიმუმამდე შეემცირებინათ — 10:11.

მატჩის საბოლოო შედეგზე არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა იმასაც, რომ სტუმრებს ცხრაჯერ ჰქონდათ რიცხობრივი უპირატესობა, მაშინ, როცა მასპინძლებს მხოლოდ ორჯერ ჰყავდათ ეგრეთ წოდებული ზედმეტი მოთამაშე. წყალბურთის მოყვარულებმა იციან, რომ გუნდს გოლები უფრო მაშინ გააქვს, როცა ზედმეტი მოთამაშე ჰყავს. ამ მატჩში თვალნათლივ გამოჩნდა თბილისელთა ერთ-ერთი ძლიერი მხარე — სარბიელზე მოთამაშეთა თანაბარი რაოდენობის დროს მეტოქის კარის აღების უნარი. კიდევ ერთხელ იჩინა თავი ჩვენი გუნდის ერთმა სისუსტემაც — ზოგჯერ ძალზე უყურადღებოდ თამაშმა.

ამ მატჩში მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს: კალანდაძემ (4), მაისურაძემ (3), ლიპარტელიანმა (2) და ჩხეიძემ (1), ხოლო სტუმართაგან — ვასიუკინმა, ბელიაევმა (3-3), პოპოვსკიმ, ბოროვსკიმ (2-2), ფინკელბერგმა (1).

კვირა დღეს გამართული დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ფაკელი“ (ვორონეჟი), ასკ (როსტოვი) 7:9, უმაღლესი სპორტული დაოსტატების სპორტსკოლა (ერევანი) — „ზილი“ (მოსკოვი) 7:6.

ამრიგად, შეჯიბრებას ერთპიროვნულად ლიდერობს ერევნელთა გუნდი, რომელსაც 5 ქულა აქვს, მომდევნო ადგილებზე მოდიან: „ავანგარდი“ (4), თბილისის ასკ, „ზილი“ (3-3), როსტოვის ასკ (2), „ფაკელი“ (1).

გუშინ წყალბურთელებს დასვენების დღე ჰქონდათ.

ხვალ ვაკის საცურაო აუზში შეჯიბრება განახლდება. მასპინძლები მოსკოველთა გუნდს შეხვდებიან.

ავთანდილ ჰყვიშელი.

„ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

როცა კარს კოვაჩი უტევს

კაცმა რომ თქვას, საბჭოთა ხელბურთელებს, რომლებმაც გათამაშების სტარტზე დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს საკმაოდ ძლიერი გუნდი — უნგრეთის ნაკრები, წარმატებისთვის ჩეხოსლოვაკიელებთან ბრძოლაშიც უნდა მიეღწიათ. ცხადია, ამიტომაც იცავდა თბილისის ტურნირის 14-გზის ლაურეატის კარს ამ დღეს ახალგაზრდა მეკარე მიხეილ იუზკო. მართალია, მას პირველსავე წუთზე მოუხდა კარიდან ბურთის გამოტანა ირჟი ბარტონის მიერ ზუსტად შესრულებული 7-მეტრიანი ტყორცნის შემდეგ, მაგრამ შემდეგ არაერთი ძნელი ბურთი მოიგერია, მათ შორის პენალტი. ჩვენმა ნაკრებმა (შევცოვი) მეორე წუთზე გაქვითა ანგარიში და, მას შემდეგ, ბოლომდე არ დაუკარგავს უპირატესობა. პირველი ტაიმი საბჭოთა ხელბურთელებმა 5 ბურთის სხვაობით (12:7) მოიგეს, მატჩი კი ანგარიშით 18:15 დაამთავრეს. ეს მათი მეორე გამარჯვება იყო.

უნგრეთის ნაკრებთან შეხვედრაში საქართველოს გუნდის მთავარი საზრუნავი სტუმართა კაპიტნისა და მთავარი ბომბარდირის პეტერ კოვაჩის ნეიტრალიზება გახლდათ. სამწუხაროდ, მასპინძლებმა ეს ვერ შეძლეს. კოვაჩმა ჩვენი გუნდის (ბარამიძესთან და კომახიძესთან მონაცვლეობით მასპინძელთა კარს იცავდა ჩელიაბინსკის „პოლიოტიდან“ გადმოსული ანდრეი გალკინი) კარში 16 გოლი გაიტანა, რაც სარეკორდო ციფრია ამ ტურნირისათვის. აშკარად არ გამოსდიოდა ამ დღეს თამაში ჩვენს ლიდერს ანპილოგოვს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უნგრელი ხელბურთელები ძალზე ენერგიულად, მჭიდროდ მეურვეობდნენ მას. პარტნიორებმაც ვერაფერი იღონეს და გუნდმა მატჩი წააგო — 25:29 (14:16).

კვირას, „მცოცავი კალენდრის“ მიხედვით საბჭოთა ნაკრები ისვენებდა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ორივე მატჩი დაძაბულად და უკომპრომისოდ წარიმართებოდა. ვარაუდი გამართლდა, განსაკუთრებით მასპინძელთა და ჩეხოსლოვაკიის ხელბურთელთა მატჩში.

საასპარეზოდ პირველნი პოლონეთისა და უნგრეთის გუნდები გამოვიდნენ. შეხვედრას ქართველი არბიტრები — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები გურამ ძაგანია და დავით დანელია სჯიდნენ. თავდაპირველად ბრძოლა თანაბარი იყო: წინ, ერთი ბურთის სხვაობით მეტწილად პოლონელები იყვნენ. მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლეს მათ 3 ბურთით გაესწროთ მდევნელებისთვის. მეორე ნახევარში (ძირითადად კოვაჩის მეშვეობით) უნგრელებმა კვლავ ერთ ბურთამდე შეამცირეს სხვაობა — 14:15, მაგრამ „გონს მოსულმა“ მეტოქემ კვლავ მწვავედ შეუტია, ერთხანს ექვსი ბურთითაც კი დაწინაურდა (23:17) და საბოლოოდ გაიმარჯვა 28:25.

იგრძნობოდა, რომ ქართველ ხელბურთელებს ჩეხოსლოვაკიელებთან შეხვედრაში მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი პირველი გამარჯვება მოეპოვებინათ ამ ტურნირზე, მაგრამ არც მეტოქეს სურდა მეორედ დამარცხებულიყო და აკი ზედიზედ სამჯერ აიღო ჩვენი კარი. მხოლოდ მესამე წუთზე უპასუხა ტაბიძემ მისთვის ჩვეული ლამაზი „რეპლიკით“ — 1:3. აქ 2 წუთით გააძევეს მილან ჩერნი და აბესაძემ, განსაკუთრებით კი დემეტრაშვილმა, მახვილგონივრულად დაამთავრეს პარტნიორების მიერ წამოწყებული კომბინაციები — 3:3. აი, აქ კვლავ ვიხილეთ წინადღით „დადუმებული“ ანპილოგოვი. მან ზედიზედ 4 ბურთი გაიტანა და უკვე მე-20 წუთისათვის ტაბლოზე ეწერა 8:7 მასპინძელთა სასარგებლოდ. ამას მოჰყვა 9:9, 10:10, 11:11, შემდეგ კი მიხუტასა და ტაბიძის გოლები — 13:11. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ (მე-8 წუთზე) ჩვენი გუნდი 4 ბურთით დაწინაურდა. მაგრამ სტუმრები არ ცხრებოდნენ — ახლა ისინი დაწინაურდნენ ორი ბურთით. დარჩა 5 წუთი. წონასწორობა კვლავ აღსდგა — 23:23. ანპილოგოვის დარტყმა კვლავ მიზანს აღწევს — 24:23. ბრწყინვალედ თამაშობს მეკარე ბარამიძე — ზედიზედ ორჯერ იგერიებს „მკვდარ“ ბურთს. თითქოს 2 ქულა უნდა ჩავიწეროთ გათამაშების ცხრილში, მაგრამ ბოლო წამებზე ჩვენს კარში 7-მეტრიან ინიშნება. ვინ დაიცავს კარს — კომახიძე, ბარამიძე თუ გალკინი? უფრო გაბედული კომახიძე გამოდგა... სამწუხაროდ უიღბლოც — 24:24. მეტოქეებმა თითო ქულა აიღეს.

ოთარ ნოზაძე.

გუშინ...

გუშინ გაიმართა ბოლოსწინა ტურის ორი მატჩი : პოლონეთი — ჩეხოსლოვაკია 30:28 (15:11), სსრ კავშირი — საქართველო 35:27 (19:14).

დღეს ტურნირზე უკანასკნელი შეხვედრები გაიმართება: პოლონეთი — სსრ კავშირი და უნგრეთი — ჩეხოსლოვაკია.

საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

ინგლისი

შაბათს, ეროვნული პირველობის XX ტურში, სამივე ლიდერმა წარმატებით ითამაშა. „მანჩესტერ იუნაიტედმა“, რომელმაც ბოლო მატჩებში საგრძნობლად უკლო ტემპს, როგორც იქნა, მორიგი 3 ქულა ჩაიწერა აქტივში — შინ ანგარიშით 1:0 დაამარცხა „იფსვიჩ თაუნი“. მანჩესტერელთა უახლოესმა მდევარმა „ლივერპულმა“ აშკარა უპირატესობით აჯობა ბირმინგემის „ასტონ ვილას“ — 3:0 (გოლები გაიტანეს დანიელმა მიოლბიმ, უოლშმა და ჯონსტონმა). კარგად თამაშობს ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“, რომელმაც სტუმრად სძლია ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ — 1:0. ერთადერთი გოლი გაიტანა ბრიტანეთის ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა, შოტლანდიელმა ფრენკ მაკავენიმ (ეს მისი მე-18 ბურთი იყო მიმდინარე სეზონში). „საუთჰემპტონმა“ შინ მოუგო ლონდონის „არსენალს“ (3:0), ხოლო ლივერპულის „ევერტონმა“ სტუმრად ამავე ანგარიშით აჯობა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“. დიდი ანგარიშით დამთავრდა კიდევ ერთი შეხვედრა: „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი) — „ოქსფორდ იუნაიტედი“ 5:1 (ორი ბურთი გაიტანა ალენმა). „კოვენტრი სიტიმ“ და ლონდონის „ჩელსიმ“ ფრედ ითამაშეს — 1:1. ამავე შედეგით დამთავრდა „ლესტერ სიტისა“ და „მანჩესტერ სიტის“ მატჩი. დანარჩენი შეხვედრები: „ბირმინგემ სიტი“ — „უოტფორდი“ 1:2, „ლუტონ თაუნი“ — „ნიუკასლ იუნაიტედი“ 2:0, „შეფილდ უენსდეი“ — „ნოტინგემ ფორესტი“ 2:1.

	თ.	ბ.	ქ.
„მანჩესტერ იუნ.“	20	37:11	46
„ლივერპული“	20	45:18	44
„ვესტ ჰემი“	20	36:19	41

შოტლანდია

7 დეკემბერს ამ ქვეყნის ჩემპიონატში მხოლოდ ორი მატჩი ჩატარდა. „დანდიმ“ და ედინბურგის „ჰართ ოვ მიდლოთიენმა“ ფრედ ითამაშეს — 1:1. ანგარიში გახსნა მასპინძელთა გუნდის წევრმა ბრაუნმა, ხოლო შეხვედრის მიწურულს ჯარდინმა წონასწორობა აღადგინა. „გლაზგო რეინჯერსმა“ სძლია „მაზერუელს“ — 1:0. გლაზგოელებს გამარჯვება მოუტანა მაკკოის გოლმა.

„აბერდინი“	16	32:15	21
„ჰართ ოვ მიდლ.“	18	27:21	21
„გლაზგო რეინ.“	17	24:18	19
„სელტიკი“	16	23:17	19

გფრ

შაბათს დაიწყო გათამაშების მეორე წრე. „შემოდგომის ჩემპიონის“ წოდება მოიპოვა ბრემენის „ვერდერმა“, რომელმაც მეორე წრის სტარტზეც წარმატებით ითამაშა: შინ დაამარცხა გელზენკირჰენის „შალკე-04“ — 3:1. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს (ტოიბერი), მაგრამ შემდეგ ნოიბარტმა ზედიზედ სამი გოლი გაიტანა და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. საინტერესოა, რომ ბრემენელებმა საკუთარ მოედანზე ჩატარებული 9 მატჩიდან 8 მოიგეს და ერთი ფრედ დაამთავრეს. ძლიერად ითამაშა მიუნჰენის „ბაიერნმაც“. მან ანგარიშით 5:1 დაამარცხა იურდინგენის „ბაიერი“. მასპინძელთაგან თავი გამოიჩინეს ჰიონესმა (ორჯერ), დანიელმა ლერბიმ, აუგენტალერმა და ფლიუგლერმა, ხოლო სტუმართაგან — შეფერმა. მიონხენგლადბახის „ბორუსიისა“ და „შტუტგარტის“ შეხვედრაში ანგარიში გახსნა „ბორუსიამ“ (დრიზენი), თამაშის მიწურულს კი კლინცმანმა საპასუხო გოლი გაიტანა — 1:1. „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“ სტუმრად სძლია „კაიზერსლაუტერნს“ — — 2:1. ამავე ანგარიშით „ბოხუმმა“ მოუგო „ნიურნბერგს“, ხოლო მანჰაიმის „ვალდჰოფმა“ — დიუსელდორფის „ფორტუნას“. დანარჩენი შედეგები: „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი) — „კიოლნი“ 2:2, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „ზაარბრიუკენი“ 3:1, „ბაიერი“ (ლევერკუზენი) — „ჰანოვერ-96“ 4:1.

„ვერდერი“	18	53:28	27
„ბაიერნი“	18	37:21	24
„ბორუსია“ (მონ.)	17	38:23	23
„ჰამბურგი“	17	29:14	23

იტალია

გათამაშების XII ტურში ლიდერი — ტურინის „იუვენტუსი“ შეხვდა ფლორენციის „ფიორენტინას“. ეს იყო მიშელ პლატინის მე-100 მატჩი „იუვენტუსის“ შემადგენლობაში. ტურინელებმა გაიმარჯვეს (1:0) და კიდევ უფრო განიმტკიცეს მოწინავე პოზიცია. ერთადერთი გოლი მე-12 წუთზე გაიტანა ბრიომ. 80 ათასი მაყურებელი დაესწრო მილანის გუნდების, „მილანისა“ და „ინტერნაციონალეს“ შეხვედრას. მატჩი მეტად დაძაბულად წარიმართა და ფრედ დამთავრდა — 2:2. მიმომხილველები აღნიშნავენ პაოლო როსის ბრწყინვალე თამაშს — „მილანის“ ორივე გოლი მის ანგარიშზეა. „ინტერის“ მხრივ თავი გამოიჩინეს ალტობელიმ და ირლანდიელმა ბრეიდიმ. „ნაპოლიმ“, რომელიც თავისი ლიდერის, მარადონას გარეშე ასპარეზობდა (იგი დისკვალიფიცირებულია), სტუმრად სძლია „ბარის“ — 2:1. გამარჯვებულთაგან ორივე ბურთი ჯორდანომ გაიტანა, დამარცხებულთაგან — სოლამ.

„იუვენტუსი“	12	21:6	21
„ნაპოლი“	12	16:8	16
„ინტერი“	12	18:14	15
„მილანი“	12	12:8	15

ქადრაკი

იან ტიმან
პრეტენდენტ

საფრანგეთის ქალაქ მონპელ
ში დამთავრდა პრეტენდენტ
მატჩების საგზურისთვის გამარ
ლი დამატებითი შეხვედრა მიხ
ტალსა (სსრ კავშირი) და იან ტ
მანს (ჰოლანდია) შორის.
როგორც ვიუწყებოდით, ტა
იმისათვის, რომ საგზურს დაუფ
ბოდა, აუცილებლად უნდა მო
V და VI პარტიები, მაგრამ
მხოლოდ V პარტიის მოგება შ
ლო. VI პარტია ყაიმით დამთავ
დიახ, დამატებითი მატჩი ყაი
(3:3) დასრულდა, მაგრამ საგზ
წილად ხვდა ტიმანს, რომელ
კოეფიციენტთა ცხრილით პრეტ
დენტთა ტურნირში ტალზე უ
თესი მაჩვენებელი ჰქონდა.
ამრიგად, ცნობილია პრეტენ
ტთა მატჩების ყველა მონაწი
ესენი არიან: **არტურ იუსუპ**
რაფაელ ვაგანიანი, ანდრეი სო
ლოვი და იან ტიმანი. მათ ორ
ბრძოლებში გამარჯვებული
პაროვ-კარპოვის მატჩ-რევან
დამარცხებულს შეხვდება: ამ მ
ჩში გამარჯვებული კი მსოფლ
ჩემპიონის ტიტულს შეეცილ
ყველა ეს შეჯიბრება 1986 წ
ჩატარდება.

ძიუდ

ჭაბუკ ძიუდოისტ
მედლებ

ანდიჟანში გაიმართა სპორტ
ზოგადოებათა ნაკრები გუნდე
საკავშირო პირადგუნდური პირ
ლობა, რომელშიც 1969-71 წლ
ში დაბადებული 180 ძიუდოის
მონაწილეობდა. ჩვენი რესპუბ
კის წარმომადგენელთაგან ვერ
ლის მედლები მოიპოვეს ზ. მარ
ნიძემ (83 კგ „განთიადი“, გო
და ზ. დაბრუნდაშვილმა (+83
„განთიადი“, თბილისი), ბრინჯა
ა. ტოტიკაშვილმა (57 კგ, „კოლ
ურნე“, თბილისი), მ. აბუაშვი
(57 კგ, „ბურევესტნიკი“, გო
და მ. ლობჟანიძემ (83 კგ, „ლოკ
მოტივი“, თბილისი).

◆

„სპორტლოტ

გუშინწინ მოსკოვში შ
„სპორტლოტოს“ მორიგი 49-ე
რაჟები.
„სპორტლოტო 6 49“-დან:
(აკადემიური ნიჩბოსნობა), 19
თხილამურო რბოლა), 35 (შაიბ
ჰოკეი), 37 (ავტოსპორტი), 40
დმინტონი), 45 (მაგიდის ჩოგბ
თი).
„სპორტლოტო 5 36“-დან:
(ბობსლეი), 11 (ფრენბურთი),
(საბაიდარო ნიჩბოსნობა და კან
33 (ფეხბურთი), 35 (შაიბიანი
კეი).



ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზი
10 დეკემბერი. დილის ტანვა
ჯიში — **9.00 (2);** საჭადრა
სკოლა — **12.05 (2);** სტადიონ
ყველასთვის — **17.05 (1);** ხე
ლბურთელთა საერთაშორისო
ტურნირი გაზეთ „ზარია ვო
ტოკას“ პრიზზე — **20.05 (2);**
ლათბურთი. ევროპის ქვეყნებ
თასების მფლობელთა თას
ცსკა — „ვევეი“ (შვეიცარია) —
22.35 (2).

„ლელოს“ შემდეგი ნომ
გამოვა ხუთშაბათს, 12 დე
ბერს.

რედაქტორის მოადგ
თ. გაჩეჩილ

ინდექსი: 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტ ური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშა რაულის 29. უე — 0